"დამტკიცებულია"
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის
მმართველი საბჭოს დადგენილებით
რექტორი, პროფესორი

ს. ტეფნაძე

04 09 2023

დადგენილება № 05/06

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

ძირითადი ასლი

1. სარჩევი

1. სარჩევი 2
2. ცვლილებები 3
2.1. ცვლილებების ისტორია 3
3. მოქმედი გვერდების სია 4
4. დოკუმენტაციის კონტროლი 5
4.1. დოკუმენტების დასაგზავნი სია 5
5. ძირითადი ნაწილი 6
მუხლი 1. ზოგადი დებულებები 6
მუხლი 2. სწავლების ენა 6
6. სასწავლო პროგრამა, მისი შემადგენელი კომპონენტები და თავისებურებები 7
მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა, სწავლის ხანგრძლივობა და აკადემიური კალენდარი 7
მუხლი 4. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურა 7
მუხლი 5. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურა 8
მუხლი 6. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურა 9
მუხლი 7. სტუდენტების მიერ უნივერსიტეტში წარმოსადგენი დოკუმენტაცია 10
მუხლი 8. სტუდენტის უფლება-მოვალეობები 10
მუხლი 9. სწავლის საფასური, ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია 10
მუხლი10. სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა 11
მუხლი11. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა 12
მუხლი 12. მობილობის და შიდა მობილობის უფლების მქონე პირი 12
მუხლი13. მობილობა, შიდა მობილობა, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება 13
მუხლი 14. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი და არჩევანის გამჭვირვალობა 15
მუხლი 15. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და გამოცდები 17

2. ცვლილებები

ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. შეცვლილი წესი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.

შედგენილია:	დამტკიცებულია:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	რექტორი
თარიღი:	თარიღი:

ამოღებული გვერდი				დამატებული გვერდი			
თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**	**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**

2.1. ცვლილებების ისტორია

ცვლილების №	ცვლილების საფუძველი	შეცვლილი გვერდები	თარიღი	ცვლილების ინიციატორი

3. მოქმედი გვერდების სია

თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**		**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**
0	1	0	დეკემბერი 2023					
1	2	0	დეკემბერი 2023					
i	3	0	დეკემბერი 2023					
ii	4	0	დეკემბერი 2023					
iii	5	0	დეკემბერი 2023					
2	6	0	დეკემბერი 2023					
3	7	0	დეკემბერი 2023					
4	8	0	დეკემბერი 2023					
4	9	0	დეკემბერი 2023					
4	10	0	დეკემბერი 2023					
4	11	0	დეკემბერი 2023					
4	12	0	დეკემბერი 2023					
4	13	0	დეკემბერი 2023					
4	14	0	დეკემბერი 2023					
4	15	0	დეკემბერი 2023					
4	16	0	დეკემბერი 2023					
4	17	0	დეკემბერი 2023					
4	18	0	დეკემბერი 2023					
4	19	0	დეკემბერი 2023					
4	20	0	დეკემბერი 2023					

4. დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.

4.1. დოკუმენტების დასაგზავნი სია

ორგანიზაცია	ფორმატი	ასლის ნომერი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ბეჭდური	ძირითადი ასლი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
უნივერსიტეტის ვებ-გვერდი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია

5. ძირითადი ნაწილი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი განსაზღვრავს შპს- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) სასწავლო პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული წესი შესასრულებლად სავალდებულოა როგორც უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის, რომლებიც ჩართულები არიან უნივერსიტეტის საქმიანობაში.

მუხლი 2. სწავლების ენა

1. უნივერსიტეტში სწავლების ენაა ქართული და ინგლისური, ამასთან, ზოგიერთ ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ინგლისურენოვანი სასწავლო კომპონენტები. ინგლისურ ენაზე სწავლების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობის საფუძველზე.

6. სასწავლო პროგრამა, მისი შემადგენელი კომპონენტები და თავისებურებები

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა, სწავლის ხანგრძლივობა და აკადემიური კალენდარი

1. უნივერსიტეტში ხორციელდება სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს (გამონაკლისის სახით ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა შეიძლება იყოს 180 კრედიტიანი), სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა 120 კრედიტს (გამონაკლისის სახით ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა შეიძლება იყოს 60 კრედიტიანი), ხოლო სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის პერიოდი მოიცავს 3 წელს, რომელიც შედგება სამეცნიერო კვლევითი კომპონენტისა და სასწავლო კომპონენტებისაგან (არაუმეტეს 60 კრედიტის მოცულობით).
2. საკრედიტო სისტემის შესაბამისად, სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის (38 სასწავლო კვირა, თითო სემესტრი 19 კვირა) განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს, ხოლო ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში.
3. სემესტრში რეგისტრირებული სტუდენტის სწავლის საფასური განისაზღვრება მისი ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, ასათვისებელი სასწავლო კურსების კრედიტების ღირებულების შესაბამისად.
4. აკადემიური კალენდარი, რომელიც ასახავს სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებს, მტკიცდება მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 4. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურა

1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება ასევე შესაძლებელია განხორციელდეს, მობილობის გზით.
2. საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაზე, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის გაგრძელების უფლების მქონე პირთა უნივერსიტეტში ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. უნივერსიტეტი უფლებამოსილია რექტორის აქტით დაადგინოს დამატებითი პირობები საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველისთვის, რაც გულისხმობს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების გამოცემამდე აღნიშნული პირის კომპეტენციების შემოწმებას ქართულ ენაში/ინგლისურ ენაში/ შესაბამის კომპეტენციებში.
3. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გზით უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს აბიტურიენტს, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი და რომელიც უნივერსიტეტის შესაბამის პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე. რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე სტუდენტთან ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

4. იმ პირებს, რომლებიც ბოლო 2 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების ან საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. მოეთხოვებათ განათლების აღიარების დოკუმენტი;
5. სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტს მიმართოს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში და წარადგინოს ამ წესის მე-7 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტები.
6. უნივერსიტეტში აბიტურიენტის ჩარიცხვა ფორმდება რექტორის ერთიანი აქტით, რომელიც გამოიცემა არაუგვიანეს პირველი ოქტომბრისა და იგზავნება საქართველოს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, გამოცემიდან 15 დღის ვადაში.
7. ის პირი, რომელიც შესულია რანჟირების დოკუმენტში, მაგრამ ვერ მოხვდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ რექტორის ერთიან აქტში დადგენილ ვადაში უნივერსიტეტისთვის არ მიმართვის გამო, უფლებამოსილია, მიმართოს უნივერსიტეტს ჩარიცხვის მოთხოვნით რექტორის ერთიანი აქტის გამოცემიდან მომდევნო წლის ივნისამდე. უნივერსიტეტის რექტორი ვალდებულია, პირის მიერ უნივერსიტეტში ჩარიცხვისთვის აუცილებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ დააკმაყოფილოს პირის მოთხოვნა და გამოსცეს ბრძანება ჩარიცხვის შესახებ ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. რექტორის აქტი იგზავნება საქართველოს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში გამოცემიდან 15 დღის ვადაში. ამ გზით პირის ჩარიცხვა უნივერსიტეტში გამორიცხავს მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გამოყენების შესაძლებლობას.

მუხლი 5. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურა

1. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, საერთო სამაგისტრო და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა/გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება ასევე შესაძლებელია მობილობის გზით. სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტში წარადგინოს ამ წესის მე-7 მუხლით დადგენილი დოკუმენტაცია. საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მაგისტრანტობის კანდიდატები უნივერსიტეტში ირიცხებიან საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.
2. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების შესაბამისი საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ მაგისტრანტობის კანდიდატი საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარების მიზნით გადის უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე/გამოცდებზე.
3. საუნივერსიტეტო გამოცდის თემატიკას შესაბამისი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს, რომელიც ითანხმებს მას და შეთანხმებული თემატიკა ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების ჩაბარების მიზნით, მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს უნივერსიტეტში, რექტორის აქტით

განსაზღვრული წესით და დადგენილ ვადაში. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე რექტორის აქტის ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნებიდან 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

4. სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ორგანიზების, გასაჩივრების წარდგენის ვადების და გასაჩივრების კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის აქტით.

5. თუ საგანმანათლებლო პროგრამით პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია ინგლისური ენის კომპეტენციის ქონა, მისი დადასტურება შესაძლებელია როგორც შიდა საუნივერსიტეტო გამოცდით, ასევე შესაბამისი ცოდნის დონის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატის B2 (Upper Intermediate) წარმოდგენით, რაც ათავისუფლებს სტუდენტს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარებისაგან.

6. აღიარებისთვის წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი საერთაშორისო სერტიფიკატები:

ტესტი	მინიმალური ქულა
EF SET	51
IELTS	5.5
TOEIC (R&L) Total	785
Cambridge English Scale	160
TOEFL iBT	72
Global Scale of English (Pearson)	59

7. უნივერსიტეტში მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდება უნივერსიტეტსა და მაგისტრანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

8. იმ პირების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულება, დგება რექტორის ერთიანი აქტი, რომელიც 5 ოქტომბრამდე იგზავნება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. რექტორის ერთიან აქტში მიეთითება მაგისტრანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საერთო სამაგისტრო გამოცდის საიდენტიფიკაციო კოდი, სწავლის საფასური, საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც მაგისტრანტმა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება. უნივერსიტეტი შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში 7 ოქტომბრის ჩათვლით წარადგენს ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამის ინფორმაციას ჩარიცხული პირების შესახებ ელექტრონული ფორმით.

მუხლი 6. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურა

1. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესი დგინდება უნივერსიტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

2. უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მხარეთა უფლება-მოვალეობები. სტუდენტის სტატუსის მოპოვება დასტურდება

რექტორის შესაბამისი აქტით. სტუდენტმა უნივერსიტეტში უნდა წარადგინოს დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით განსაზღვრული დოკუმენტები.

მუხლი 7. სტუდენტების მიერ უნივერსიტეტში წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტში წარადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:
   1.1. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
   1.2. შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (საბაკალავრო პროგრამებზე - სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე – ბაკალავრის დიპლომი, სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების შემთხვევაში წარდგენილი უნდა იქნეს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი);
   1.3. განათლების აღიარების დოკუმენტი იმ პირთათვის, რომლებიც ბოლო 2 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების ან საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.
   1.4. სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ საქართველოს მოქალაქე ვაჟებისთვის);
   1.5. 2 ფოტოსურათი (3X4) და მისი ელექტრონული ვერსია ჩაწერილი CD-ზე;
   1.6. სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (გაითვალისწინება მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო, სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო ან სხვა სახის გრანტის ოდენობა).
   1.7. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

მუხლი 8. სტუდენტის უფლება-მოვალეობები

1. სტუდენტი სარგებლობს ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებით.
2. სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა. დაიცვას უნივერსიტეტის დებულება, შინაგანაწესი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვა შიდა საუნივერსიტეტო აქტები. ამასთან, სტუდენტმა შეძლებისდაგვარად მონაწილეობა უნდა მიიღოს უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ გამოკითხვებში, რაც მიზნად ისახავს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებას.

მუხლი 9. სწავლის საფასური, ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

1. სწავლის წლიური საფასური განისაზღვრება რექტორის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
2. სწავლის წლიური საფასურის გადახდა ხდება ყოველი სემესტრის დაწყების წინ. საფასურის გადახდის ვადები დგინდება რექტორის აქტით.

3. ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულისხმობს სწავლის საფასურის გადახდას.
4. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ელექტრონული ბაზა, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტის სპეციალურ პროგრამას და შექმნილია სასწავლო პროცესის სწრაფად, ხარისხიანად და მოსახერხებლად მართვისთვის.
5. აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს ყოველსემესტრულად საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებას, რაც გამოიხატება სტუდენტის მხრიდან სასწავლო ცხრილით შემოთავაზებული სასწავლო კურსის გასავლელად მზაობის დაფიქსირებაში. აღნიშნული პროცედურის გამართულად განხორციელებას ხელს უწყობენ შესაბამისი ფაკულტეტები.

მუხლი10. სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა

1. სტუდენტის სტატუსი შეიძლება შეჩერებულ იქნეს არაუმეტეს 5 წლის ვადით. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.
2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
   - 2.1. ადმინისტრაციული (ფინანსური დავალიანება) ან აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა;
   - 2.2. ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება სტუდენტის სასწავლო პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობა;
   - 2.3. უცხო ქვეყანაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამისა);
   - 2.4. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა;
   - 2.5. პირადი განცხადება;
   - 2.6. სტუდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, განაჩენის გამოტანამდე;
   - 2.7. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეს თუ სასწავლო კომპონენტის შეფასების სულ მცირე ერთ კომპონენტში არ აქვს შეფასება, აკადემიური რეგისტრაციის გავლიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში.
3. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის აქტით, რომელიც გამოცემიდან 5 დღის ვადაში აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.
4. 2.7 პუნქტის საფუძველზე სტატუს შეჩერებული სტუდენტების შესახებ ინფორმაცია 5 დღის ვადაში აცნობოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს.
5. სემესტრის დაწყების შემდეგ სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სტუდენტს უუქმდება შუალედური შეფასებები და სემესტრზე გადახდილი თანხა არ ენახება.
6. სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს 3 კვირისა ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო პროცესის დაწყებიდან 3 კვირის შემდგომ სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სტუდენტთან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეთანხმების საფუძველზე. სტუდენტის სტატუსის აღდგენა ფორმდება რექტორის აქტით, რომელიც ასევე 5 დღის ვადაში აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

მუხლი11. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
   1.1. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება;
   1.2. სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო საფეხურზე საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
   1.3. საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა;
   1.4. გარდაცვალება.
   1.5. პირადი განცხადება;
   1.6. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.
2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად.
3. უნივერსიტეტი ვალდებულია სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტის საკითხის დაყენების დროს აცნობოს დაინტერესებულ პირს აღნიშნულის შესახებ.
4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის დასაბუთებული ბრძანებით, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.
5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. მობილობის და შიდა მობილობის უფლების მქონე პირი

1. მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის უნივერსიტეტში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის უნივერსიტეტის სტუდენტი.
2. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელმაც მოიპოვა სტუდენტის სტატუსი კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუმცა, ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, ასევე პირს, რომელმაც წარმატებით დაძლია ერთიანი ეროვნული გამოცდები და რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ დამტკიცებულ რანჟირების დოკუმენტში მითითებულ დაწესებულებას ჩარიცხვის მიზნით ვერ მიმართა, ვინაიდან დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება.
3. მობილობით სარგებლობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ.
4. თუ დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლება მონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება, სტუდენტს მობილობის უფლება წარმოეშობა სწავლის პერიოდის ხანგრძლივობის მიუხედავად.

მუხლი13. მობილობა, შიდა მობილობა, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება

1. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. დაუშვებელია მობილობა განათლების სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2. უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს ბრძანებით განისაზღვრება მობილობის მსურველის მიერ უნივერსიტეტში წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა, ვადები, კრედიტების აღიარების კომისიის შემადგენლობა (ფაკულტეტების მიხედვით) და საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისათვის აუცილებელი წინაპირობები (საჭიროების შემთხვევაში), რაც გულისხმობს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენას. ახალი სასწავლო სემესტრის დაწყებამდე, რექტორის აქტით ცხადდება შიდა მობილობა, განისაზღვრება მისი პროცედურები და ვადები. რექტორმა შესაძლოა დაადგინოს დამატებითი პირობები.
3. ის სტუდენტები, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაირიცხნენ 2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე და სურთ მობილობით სარგებლობა, უნდა აკმაყოფილებდნენ მიმღები პროგრამის დაშვების წინაპირობებს და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული უნდა ჰქონდეთ შესაბამისი საგანი (გადალახული უნდა ჰქონდეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი).
4. იმ შემთხვევაში თუ, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სტუდენტს არ აქვს ჩაბარებული ის საგანი, რაც კანონმდებლობის თანახმად, დადგენილია უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის სფეროების მიხედვით, სტუდენტი უფლებამოსილია, დარეგისტრირდეს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მხოლოდ ამ საგნის/საგნების ჩაბარების მიზნით.
5. აღიარების კომისია ადგენს უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეულის წავლის შედეგების თავსებადობას, რისთვისაც ამოწმებს სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის კომპონენტების შესაბამისობას უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამასთან, სტუდენტის ჩარიცხვის კანონიერების საკითხს, გავლილი პროგრამის აღიარების შესაძლებლობის საკითხს და ამზადებს დასკვნას მობილობის მსურველის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე. უნივერსიტეტი უფლებამოსილია სტუდენტის თავდაპირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გამოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.
6. კრედიტების აღიარება ფორმდება აღიარების კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა უნივერსიტეტის შესაბამის პროგრამასთან, ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა. აღიარებას ექვემდებარება დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.
8. თუ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია თავისუფალი კრედიტები, მაშინ დასაშვებია აღნიშნულის ფარგლებში სტუდენტის მიერ გავლილი იმ სასწავლო კურსის/კურსების კრედიტების აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით.

9. მობილობის მსურველი სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, ამ მუხლით დადგენილი პროცედურების დაცვით, უნივერსიტეტი შეიმუშავებს სამართლებრივი აქტის პროექტს სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის თაობაზე, რასაც წარუდგენს სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას და დაურთავს მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონულ ვერსიას ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად.

10. ბრძანების პროექტზე ცენტრის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ გამოიცემა რექტორის ბრძანება სტუდენტის მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ 1 ოქტომბრამდე - შემოდგომის და 1 მარტამდე - გაზაფხულის სემესტრში. ბრძანება გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში აისახება რეესტრში და სამი სამუშაო დღის ვადაში იგზავნება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

11. უნივერსიტეტიდან მობილობის გზით გადასულ სტუდენტს რეესტრში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების შემდეგ უნივერსიტეტის რექტორის აქტით უწყდება სტუდენტის სტატუსი, ხოლო სტუდენტის მიმართვიდან 7 დღის ვადაში გაიცემა სტუდენტის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია, მოთხოვნისამებრ.

12. მობილობის მსურველი, რომელიც უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადაში არ მიმართავს განცხადებით მას ჩარიცხვის თაობაზე, კარგავს აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

13. მობილობით სარგებლობის შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონული ვერსიას სიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად ცენტრს წარედგინება 7 ოქტომბრამდე - შემოდგომის ან 7 მარტამდე - გაზაფხულის სემესტრში.

14. შიდა მობილობის დროს კრედიტების აღიარების პროცედურა ხორციელდება ამ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად. სტუდენტის შიდა მობილობით სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანა ფორმდება რექტორის აქტით. შიდა მობილობის პროცესის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტი ვალდებულია 2 კვირის ვადაში ინფორმაცია მიაწოდოს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.

15. უნივერსიტეტმა, როგორც მობილობის, ასევე შიდა მობილობის დროს მიზანშეწონილია სტუდენტს შესთავაზოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

16. თუ სტუდენტის მიერ შესწავლილი სასწავლო კურსის კრედიტის მოცულობა აღემატება საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი ანალოგიური სასწავლო კურსის კრედიტის რაოდენობას, კრედიტის აღიარება ხორციელდება უნივერისტეტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი სასწავლო კურსისათვის დადგენილი კრედიტის მოცულობის შესაბამისად. ანალოგიური წესი ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, როდესაც სასწავლო კურსის მოცულობა ნაკლებია უნივერსიტეტში არსებული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობაზე. თუ, სახეზეა მნიშვნელოვანი სხვაობა, უნივერსიტეტი უფლებამოსილია გამოითხოვოს შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსი რათა დაადგინოს სწავლის შედეგების თავსებადობა.

17. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

18. ამ მუხლის მე-17 პუნქტში მითითებული შემთხვევის დროს უნივერსიტეტი უფლებამოსილია სტუდენტს მოსთხოვოს მის მიერ გავლილი საგნების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელზე დაყრდნობითაც შეძლებს აღნიშნული სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭებას. აღნიშნული კურსებისთვის ხდება პირობითი კრედიტების მინიჭება შემდეგი სისტემის მიხედვით: თითოეული სასწავლო კურსის საკონტაქტო საათებს ემატება დამოუკიდებელ მუშაობის საათები (საკონტაქტო საათების გამრავლებით 1.5–ზე), ხოლო საათების მიღებული რაოდენობა იყოფა 25–ზე, ანუ 1 კრედიტის საათების რაოდენობაზე. აღნიშნული წესით დაანგარიშებული არამთელი კრედიტები დამრგვალდება მთელ რიცხვამდე (მაგალითად 4.51 დამრგვალდება 5 კრედიტზე) მეტობით.

19. თუ სტუდენტის სასწავლო კურსები შეფასებული აქვს ხუთბალიანი სისტემით, მისი 100 ბალიან სისტემაზე გადაყვანა ხორციელდება შემდეგი სისტემის შესაბამისად:

19.1. 5 - „ფრიადი“ - A - 91 ქულა;

19.2. 4 - „კარგი“ - B - 71 ქულა;

19.3. 3 - „დამაკმაყოფილებელი“ - E - 51 ქულა.

20. ე.წ. არადიფერენცირებული ,,ჩათვლის” აღიარება ხდება შემდეგნაირად: სტუდენტის მიერ ყველა საგანში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულით (მთელ რიცხვამდე დამრგვალებული). თუ, სტუდენტმა წარმოადგინა მხოლოდ ისეთი საგნები, რომლებიც შეფასებულია მხოლოდ ,,ჩათვლით“, საკითხი წყდება სტუდენტის სასიკეთოდ და მას ეწერება 91 ქულა.

21. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების ან კიდევ კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების მსურველ პირთა განათლების აღიარებისთვის რექტორის ბრძანებით იქმნება შესაბამისი აღიარების კომისია, რომელიც უფლებამოსილია დაინტერესებულ პირს მოსთხოვოს მის მიერ გავლილი საგნების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა, ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია დაინტერესებულ პირს ჩაუტაროს გამოცდები, მის მიერ მითითებულ საგნებში. აღიარების დროს კომისია ხელმძღვანელობს ამ მუხლის შესაბამისად.

მუხლი 14. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი და არჩევანის გამჭვირვალობა

1. საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მისიას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, შედგენილი უნდა იყოს ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, სწავლის შედეგები აღწერილი უნდა იყოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს აღმწერის შესაბამისად, ჰქონდეს თანმიმდევრული და ლოგიკური სისტემა, იძლეოდეს არჩევანის გამჭვირვალეობის შესაძლებლობას და ორიენტირებული უნდა იყოს სტუდენტისათვის ხარისხიანი განათლების მიცემაზე. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამა უნდა იყოს კონკურენტუნარიანი, პასუხობდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს და მასში განსაზღვრული უნდა იყოს დასაქმების სფეროები.

2. საგანმანათლებლო პროგრამაში მიეთითება:

2.1. პროგრამის სახელწოდება;

2.2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია;

2.3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით;

2.4. სწავლების ენა;

2.5. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე;
2.6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
2.7. სწავლის შედეგები;
2.8. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები;
2.9. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა.

3. პროგრამას თან უნდა ახლდეს:
3.1. სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);
3.2. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ;
3.3. პროგრამის დამტკიცების აქტი (საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებული და დამტკიცებული უნდა იყოს დადგენილი წესის შესაბამისად);
3.4. სწავლის შედეგების რუკა;
3.5. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა სემესტრების მიხედვით.

4. სილაბუსში მიეთითება:
4.1. სასწავლო კურსის სახელწოდება;
4.2. ავტორი;
4.3. სასწავლო კურსის მიზნები;
4.4. კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად;
4.5. დაშვების წინაპირობები;
4.6. სწავლის შედეგები;
4.7. შინაარსი;
4.8. სწავლება-სწავლის მეთოდები;
4.9. შეფასების კრიტერიუმები;
4.10. ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა.

5. სტუდენტის საქმიანობა (დატვირთვა) შეიძლება მოიცავდეს:
5.1. ლექციაზე დასწრებას, პრაქტიკულ ან/და ლაბორატორიულ მეცადინეობას;
5.2. დამოუკიდებელ მეცადინეობას;
5.3. საწარმოო ან პროფესიულ პრაქტიკას;
5.4. გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;
5.5. სასწავლო-სამეცნიერო (მაგალითად: საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო) ნაშრომზე მუშაობას;
5.6. სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომის დაცვას და გამოსაქვეყნებლად მომზადებას;
5.7. სხვა დატვირთვას, რომლითაც მიიღწევა სწავლის შედეგები.

6. უნივერსიტეტი, თავისი დებულებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს განათლების ხელმისაწვდომობასა და გამჭვირვალობას, სწავლება-სწავლის და სამეცნიერო კვლევების აკადემიური თავისუფლების პირობების შექმნას, სტუდენტისათვის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობას, რაც უზრუნველყოფილია სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შემოთავაზებული სასწავლო კურსების არჩევითობით. ამასთან, უნივერსიტეტი სტუდენტს საშუალებას აძლევს თავად შექმნას საკუთარი პროფილი და ზოგადი საფაკულტეტო საგნების ბლოკის დაძლევის შემდეგ განსაზღვროს

პროფესიული მიმართულება, რაც გამოიხატება შესაბამისი ძირითადი სპეციალობის სავალდებულო საგნების გავლაში.

მუხლი 15. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და გამოცდები

1. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტის ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა, რომელიც აისახება საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტის სილაბუსში და ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. კონკრეტული სწავლების მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები ასახულია შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებსა და სილაბუსებში.
2. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება არის 100 ქულა.
3. დასკვნითი გამოცდა ფასდება არაუმეტეს 40 ქულისა.
4. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებაში გადალახული აქვს შუალედური შეფასების 35% -იანი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
5. სტუდენტს დასკვნითი გამოცდა ეთვლება ჩაბარებულად, თუ მან მიიღო დასკვნითი გამოცდის შეფასების 50% ან მეტი.
6. შეფასების სისტემა უშვებს:
   - 6.1. ხუთი სახის დადებით შეფასებას:
     - 6.1.1. (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
     - 6.1.2. (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
     - 6.1.3. (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
     - 6.1.4. (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
     - 6.1.5. (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;
   - 6.2. ორი სახის უარყოფით შეფასებას:
     - 6.2.1. (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
     - 6.2.2. (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებების და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.
8. სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება ეძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეფასების ორივე ფორმაში გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ანუ დააგროვა 41 ქულა.
9. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა.
10. სასწავლო კურსის ხელმძღვანელი უფლებამოსილია შუალედური შეფასების ან დასკვნითი გამოცდის შემთხვევაში დადებითი შეფასების მისაღებად დააწესოს უფრო მაღალი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. აღნიშნული აისახება შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამასა და სილაბუსებში. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული თავისებურებები მოწესრიგებულია დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

11. შუალედური შემოწმებებისა და დასკვნითი გამოცდების ჩატარების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახური.
12. სტუდენტი ვალდებულია საგამოცდო ცენტრში გამოცდების განრიგით განსაზღვრულ ვადებში ჩააბაროს გამოცდა. გამონაკლისს წარმოადგენს საგამოცდო პერიოდში ობიექტური მიზეზით გამოცდაზე გამოუცხადებლობა, ამ შემთხვევაში სტუდენტს გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა ფაკულტეტის დეკანის ნებართვით, სტუდენტის განცხადების საფუძველზე, იმავე სემესტრში.
13. შუალედური შემოწმებები, დასკვნითი და დამატებითი გამოცდები ტარდება წერითი ფორმით. შუალედური შემოწმებებისა და გამოცდების ბილეთები მზადდება სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ, განიხილება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმების შემდგომ გადაეცემა სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული თავისებურებები მოწესრიგებულია დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით.
14. გამოცდების მიმდინარეობის მონიტორინგს ახორციელებს რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, რომლიც აკომპლექტებს სადამკვირვებლო ჯგუფს.
15. საგამოცდო სივრცეში სტუდენტი ვალდებულია დაემორჩილოს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „გამოცდაზე მოქცევის წესს“.
16. გამოცდის შედეგები სტუდენტისათვის ცნობილი ხდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს 5 დღისა. საგამოცდო ნაშრომების შესწორებისას დაცულია ანონიმურობის პრინციპი. პროფესორს საგამოცდო ნაშრომი გადაეცემა დაშიფრული სახით, გასწორებული ნაშრომი უბრუნდება სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს, სადაც ხდება ნაშრომზე შიფრის მოცილება და ელექტრონული აღრიცხვის ჟურნალში შესაბამისი ქულის შეტანა.
17. გამოცდების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს მისთვის მიუღებელი შეფასება. აღნიშნული უფლების რეალიზაციის მიზნით, სტუდენტი უნივერსიტეტს მიმართავს საჩივრით შედეგების ბაზაში ასახვიდან არაუგვიანეს ხუთი დღისა.
18. ამ მუხლის მე-17 პუნქტში მითითებული საჩივრის საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორი ქმნის სააპელაციო კომისიას და განსაზღვრავს მისი მუშაობის წესს.

მუხლი 18. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

1. უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც გულისხმობს ,,დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლს. აღნიშნულის გათვალისწინებით ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მუშაობს შემდეგი სქემით:
   1.1. პირველ ეტაპზე (დაგეგმე) - უნივერსიტეტი(ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური) გეგმავს ჩასატარებელ სამუშაოს, განსაზღვრავს საქმიანობის ასპექტებს, შეიმუშავებს კითხვარებს ფაკულტეტების ჩართულობით, გეგმავს სხვა აქტივობებს(ადგენს ე.წ. სამოქმედო გეგმა-გრაფიკს);
   1.2. მეორე და მესამე ეტაპეზე (განახორციელე/შეამოწმე) - უნივერსიტეტი (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური) იწყებს შეფასებას წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებისა და გრაფიკის მიხედვით, აწარმოებს გამოკითხვებს, სასწავლო პროცესის

მონიტორინგს, გამოავლენს სასწავლო პროცესის სუსტ და ძლიერ მხარეებს, უფლებამოსილია აღნიშნულ პროცესში ჩართოს დაინტერესებული პირები;

1.3. მეოთხე ეტაპზე (განავითარე) - უნივერსიტეტი (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური) აჯამებს კვლევის შედეგებს, განსაზღვრავს პრობლემების გამომწვევ მიზეზებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს პრობლემების გადასაჭრელად.

2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები წარედგინებათ ფაკულტეტებს და რექტორს. აღნიშნულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით შესაძლებელია:

2.1. შეიცვალოს (მოდიფიცირებულ იქნეს) საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო კურსის სილაბუსები;

2.2. შეიცვალოს შეფასების კრიტერიუმები;

2.3. შეიცვალოს, როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალის რაოდენობა;

2.4. დაიხვეწოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

2.5. სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის გარკვეული ცვლილებები განხორციელდეს უნივერსიტეტის სტრუქტურაში;

2.6. გაფორმდეს დამატებითი მემორანდუმები ახალ პრაქტიკის ობიექტებზე;

2.7. დაიგეგმოს ტრენინგების ჩატარება განათლების სფეროში სტუდენტების ცნობიერების ასამაღლებლად;

2.8. მოხდეს სტუდენტებისთვის დამატებითი ტრენინგ კურსების ჩატარება, მათთვის საინტერესო თემებზე;

2.9. დაიგეგმოს კონფერენციები, სემინარები და ა.შ.

3. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება ძირითადად ხდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვით/ინტერვიუირებით და სასწავლო პროცესის მონიტორინგის გზით. ყოველი სასწავლო წლის ან სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ ზემოაღნიშნული პირები ავსებენ სპეციალურ კითხვარებს. (კითხვარები შეადგენს აღნიშნული წესის განუყოფელ ნაწილს და წარმოდგენილია დანართების სახით).

4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შესაბამისი თანამშრომელი მონიტორინგის მიზნით ესწრება ლექციებს/პრაქტიკულ მეცადინეობებს, აანალიზებს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამის ან ცალკეული სასწავლო კურსის სრულყოფისათვის.

5. უნივერსიტეტისთვის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი დამატებითი მექანიზმია უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება, რაც გამოიხატება მათი მხრიდან ყოველწლიური ან ყოველსემესტრული ანგარიშების (დამტკიცებული ფორმის შესაბამისად) წარმოდგენაში. ანგარიშებში აისახება ინფორმაცია, მათი მიღწევების, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის, სტატიების გამოქვეყნების, მოზიდული ადგილობრივი თუ საერთაშორისო გრანტების შესახებ და სხვ.

6. უნივერსიტეტი ყოველსემესტრულად ახდენს ხარისხის უზრუნველყოფის საშუალებების გადახედვას, გაანალიზებას და უფრო ეფექტური მექანიზმების დანერგვას.

მუხლი 19. კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა

1. სტუდენტის მიერ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ სტუდენტს ენიჭება პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია და ეძლევა ამ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. დიპლომი გაიცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე.
2. საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე კვალიფიკაციის მიმნიჭებელი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, სადოქტოროზე კი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.
3. დიპლომის და დიპლომის დანართის გაცემის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახური. დიპლომის გაცემაზე, შენახვაზე, შევსებასა და სარეგისტრაციო ჟურნალის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.